

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებულ - „ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე განხორციელების ხელშეკრულებაში“  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2016 წლის 4 ივლისი

1. ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის სახით (შემდგომში - „მთავრობა“), მეორე მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამხოკაძის სახით (შემდგომში - „ესკო“) და მესამე მხრივ, შპს „ტყიბული 150“ (ს/კ 405094972), წარმოდგენილი დირექტორის გივი ჭაჭიას სახით (შემდგომში - „კომპანია“) ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში - შეთანხმება) საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებულ - „ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე განხორციელების ხელშეკრულებაში“ შემდეგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით:

ა) ხელშეკრულების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „განხორციელების ხელშეკრულება“

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს და შპს „ტყიბული 150“-ს შორის ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე“.

ბ) ხელშეკრულების პრეამბულით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების მიზანი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვდებთ წინამდებარე განხორციელების ხელშეკრულებას საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის უზრუნველყოფისათვის:“.

გ) ხელშეკრულების 1.5. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.5. „ნახშირის თბოსადგური“ - გარდაბნის მუნიციპალიტეტში 150-300 მგვტ. (+/-10%) სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა“.

**დ) ხელშეკრულების 1.7. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1.7 „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც ესკო უზრუნველყოფს კომპანიისაგან გარანტირებულად შეისყიდოს ან/და გადაუხადოს კომპანიას ყოველი წლის „უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების“ განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება შეთანხმებული ტარიფით, არაუმეტეს ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) რაოდენობისა, ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული წლის განმავლობაში;“

**ე) ხელშეკრულების 1.8. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1.8 უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეები - კალენდარული წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი;“

**ვ) ხელშეკრულების 2.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2.1. საქართველოს ენერჯუსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ნახშირის თბოსადგურის მშენებლობა/რეკონსტრუქცია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.“

**ზ) ხელშეკრულების 3.1. 3.1.1., 3.1.2., 3.1.3., 3.1.4., 3.1.5. და 3.1.6. პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (ბოლო ხელშეკრულების 3.1.7, 3.1.8 და 3.1.9 დარჩეს უცვლელად):**

**„3.1. კომპანიის ვალდებულებებია:**

3.1.1. 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით უზრუნველყოს ნახშირის თბოსადგურის მშენებლობა/რეკონსტრუქცია წინამდებარე ხელშეკრულების 1.5 პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად.

3.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტით განსაზღვრული ნახშირის თბოსადგურის მშენებლობის/რეკონსტრუქციის მიზნით, შესაბამისი ნებართვა მოიპოვოს და მშენებლობა/რეკონსტრუქცია დაიწყოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა.

3.1.3. ნახშირის თბოსადგურის მშენებლობის დასრულებიდან 3 (სამი) თვის ვადაში შესაბამის ორგანოს(ებს) წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ნახშირის თბოსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3.1.4 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 - 3.1.3 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება უზრუნველყოს ნახშირის თბოსადგურის მშენებლობისათვის/რეკონსტრუქციისთვის შესასრულებელი ქმედებებისა და ღონისძიებების თაობაზე ხელშეკრულების დანართად წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (დანართი #1).

3.1.5. ნახშირის თბოსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის, მათ შორის ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში, თბოსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში მუდმივად გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევისა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი ნახშირის თბოსადგურისათვის მე-6 მუხლით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად მოხდება იმპორტირებული ნახშირის გამოყენება, ესკოს არ ეკისრება მსგავსი

ნახშირით წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება და თავისუფლდება „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპით გათვალისწინებული ვალდებულებისგან;

3.1.6 ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული წლის მანძილზე სადგურის მიერ უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯია, სრულად, მაგრამ არაუმეტეს ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) რაოდენობისა, მიყიდოს ესკოს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ამ ხელშეკრულების 3.1.5 პუნქტით განსაზღვრული დათქმის გათვა ლისწინებით.“

*თ) ხელშეკრულების 3.2.1. და 3.2.2. პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„3.2.1 ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტროსადგურის მიერ უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის საპროგნოზო მოცულობის ასახვა შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად უზრუნველყოფილი იქნება ნახშირის თბოსადგურის ტექნიკური გამართულობა და იგი დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის მოთხოვნას.

3.2.2 „ესკო“-ს გავოტრების ან/და ლიკვიდაციის ან/და მისი ფუნქციების, კანონმდებლობის ან სხვა საფუძველით, სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს, წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის/შეთანხმების საფუძველზე ესკოს არსებული უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის (პირებისათვის) გადაცემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ განახორციელებს „ესკო“-ს ფუნქციებს საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში.“.

*ი) ხელშეკრულების 3.3, 3.3.1 და 3.3.2 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით(ხოლო ხელშეკრულების 3.3.3 დარჩეს უცვლელად):*

„3.3 ესკო ვალდებულია:

3.3.1 კომპანიასთან გააფორმოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ნახშირის თბოსადგურის მიერ უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვის მიზნით. ამ ხელშეკრულების 3.1.5 და 3.1.6. პუნქტებით განსაზღვრული პირობის შესაბამისად, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება მხოლოდ უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში ნახშირის თბოსადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიაზე, მაგრამ არაუმეტეს ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) რაოდენობისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან;

3.3.2 ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“-ს შესაბამისად, უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში სრულად, მაგრამ არაუმეტეს ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში, შეისყიდოს ნახშირის თბოსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა თუ ნახშირის

თბოსადგურისათვის მე-6 მუხლით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად მოხდება იმპორტირებული ნახშირის გამოყენება, რა დროსაც ესკოს არ ეკისრება ასეთი ნახშირით წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება და თავისუფლდება „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპით გათვალისწინებული ვალდებულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მხრიდან სრულად შესრულდება ნაკისრი ვალდებულებები და მიუხედავად ამისა, ესკოს მიერ სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ელექტროენერჯის შესყიდვა კომპანიისაგან ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, ესკო ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს კომპანიას აღნიშნული გარემოებ(ებ)ის შედეგად მიუღებელი შემოსავალი.“

*კ) ხელშეკრულების 4.7. და 4.8. პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„4.7. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ნახშირის თბოსადგურის ექსპლოატაციაში მიღების თარიღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული წლის განმავლობაში უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების განმავლობაში სადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის, მაგრამ არაუმეტეს ყოველ საათობრივი 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვის პირობებში გამოიმუშავებული (სალტეზე გაცემული) რაოდენობის რეალიზაცია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად ესკოზე ამავე ხელშეკრულების 3.1.5 და 3.1.6. პუნქტებით განსაზღვრული პირობის შესაბამისად.

4.8. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ნახშირის თბოსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამოიმუშავებისთვის არ იქნება გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი, ესკოს არ ეკისრება ასეთი ნახშირით წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება და თავისუფლდება „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპით გათვალისწინებული ვალდებულებისგან. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ ესკო განახორციელებს კომპანიის მიერ 3.1.5 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს, რომლის ორგანიზებისა და განხორციელების წესები უნდა განისაზღვროს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით.

*ლ) ხელშეკრულებას 4.8. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.9. პუნქტი:*

„4.9. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებები ნახშირის თბოსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 1.5. პუნქტით განსაზღვრული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში 150-300 მგვტ. (+/- 10%) სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობას/რეკონსტრუქციას ამ ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.“

*მ) ხელშეკრულების 6.3.2. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„6.3.2. აჯანყება, საგანგებო მდგომარეობა, სამოქალაქო ომი, ამბოხი, სახალხო დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივი მღელვარება, საბოტაჟი, ტერორისტული აქტი, გაფიცვა, უბედური შემთხვევა და/ან საწარმოო ავარია;“.

ნ) ხელშეკრულების დანართი #1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი #1

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობისათვის შესასრულებელი ქმედებებისა და ღონისძიებების თაობაზე გეგმა-გრაფიკი

გარდაბნის ნახშირის თბოსადგური	თვეების რაოდენობა განხორციელების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან											
	9	11	12	30	40	46	52	55	56	57	58	
პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადება და წინასწარი განხილვის მიზნით მისი წარდგენა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან	✓											
გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება			✓									
მშენებლობის საექსპერტო შეფასების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება	✓											
მშენებლობის პროექტისა და მისი საექსპერტო შეფასების მომზადება და წარდგენა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან		✓										
მშენებლობის ნებართვის მოპოვება - არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა			✓									
მშენებლობის დაწყება მშენებლობის ნებართვის საფუძველზე - არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა			✓									
ბირითადი შენობისა და ქვების საძირკვლის მოწყობა				✓								
ქვების ფოლადის სტრუქტურისა და ორთქლის ტურბინის საყრდენის მოწყობა					✓							
ტურბინისა და გენერატორის ობიექტზე მიტანა						✓						
ქვების ჰიდრაულიკური ტესტირების დასრულება და ტურბინების ცილინდრების დახურვა							✓					
ბოილერის პირველი ანთება და ორთქლის გაფრქვევა								✓				
პირველადი სინქრონიზაცია ენერგო სისტემასთან									✓			
საიმედობაზე გამოცდის დასრულება										✓		
ეფექტურობის ტესტის დასრულება											✓	

AL

ო) ხელშეკრულების დანართი #2 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი #2

ელექტროენერჯის ყოველწლიური შესასყიდი ფასი (ტარიფი) ნახშირის თბოსადგურის  
ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული წლის განმავლობაში

წელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ფასი (აშშ დოლარი ცენტ)	7,9	8,06	8,22	8,38	8,55	8,72	8,9	9,07	9,26	9,44	9,63	9,82	9,82	9,82	9,82

მ) ხელშეკრულების 1.9 და 4.3 პუნქტები ამოღებულ იქნას ამოღებულ იქნას ხელშეკრულებიდან სრულად.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული განხორციელების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამი (3) ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

**მხარეთა ხელმოწერები**

საქართველოს  
მთავრობა

ესკო

კომპანია

საქართველოს  
ენერჯეტიკის  
მინისტრი

გენერალური  
დირექტორი

შპს „ტყიბული 150“-ის  
დირექტორი

კახა გაგუაძე

ვახტანგ ამბოკაძე

გივი ჭაჭია

07.12.15




## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1241 2016 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის  
კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის 2015 წლის  
16 ოქტომბერს დადებულ განხორციელების ხელშეკრულებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის დასაადები შეთანხმება.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

3813



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010176361121416

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ-ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4082

22 / ივნისი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 20 ივნისის №04/2449 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს დადებულ განხორციელების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ, ვინაიდან ცვლილებების ფარგლებში „ტყიბულის ნახშირის თბოსადგურის“ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი ჩანაცვლდა „გარდაბნის ნახშირის თბოსადგურის“ მშენებლობით, მიზანშეწონილია, დამატებით შეფასდეს მემორანდუმის სხვა დებულებების შინაარსიც მათი „ტყიბულის ნახშირის თბოსადგურთან“ მიმართებისა და შესაბამისად, მათი მემორანდუმიდან ამოღების კრილში.

პატივისცემით,

გ. დხოცივაძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე





ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/740  
23/06/2016

740-01-2-201606231010



საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2016 წლის 20 ივნისის #04/2448 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150-ს“ შორის 2015 წლის 16 ოქტომბერს დადებულ განხორციელების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ შემდეგს:

თქვენს მიერ გამოგზავნილი პროექტის თანახმად, ესკომ „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ საფუძველზე უნდა შეისყიდოს ან გადაუხადოს კომპანიას გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება შეთანხმებული ტარიფი არაუმეტეს 150 მგვტ-ის ოდენობით. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით გამოდის, რომ ესკომ კომპანიისგან უნდა შეისყიდოს სიმძლავრე, რაც არ არის მართებული. ესკო ყიდულობს არა სიმძლავრეს, არამედ შესაბამის კილოვატ საათებს.

აქედან გამომდინარე „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ განმარტებაში და შესაბამისად სხვა პუნქტებშიც, სადაც მოხსენიებულია, რომ ესკო კომპანიისგან ყიდულობს გამომუშავებულ ელექტროენერჯიას 150 მგვტ-ის ოდენობით, უნდა ჩასწორდეს და ჩაიწეროს, რომ ესკო უზრუნველყოფს კომპანიისაგან გარანტირებულად შეისყიდოს ან გადაუხადოს კომპანიას ყოველი წლის „უწყვეტი ოპერირებისა და შესყიდვის თვეების“ განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება შეთანხმებული ტარიფით, არაუმეტეს ყოველსაათობრივი 150 მგვტ

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ.კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036


სიმბლავრით დატვირთვის პირობებში გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) რაოდენობისა.

გარდა ამისა, განხორციელების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტში მითითებულია, რომ თუ ნახშირის თბოსადგურის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის არ იქნება გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი, ესკოს არ ეკისრება ასეთი ნახშირით წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება და თავისუფლდება „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპით გათვალისწინებული ვალდებულებისგან.

მიგვაჩნია, რომ შეთანხმების პროექტში უნდა ჩაიწეროს, რომ ესკო განხორციელებს კომპანიის მიერ ზემოთ აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე კონტროლს, რომლის ორგანიზებისა და განხორციელების წესები უნდა განისაზღვროს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე



გენერალური დირექტორი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15165570, 17/08/2015 12:18:52

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ტყიბული 150  
**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405094972  
**რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** 01/04/2015  
**მარეგისტრირებული ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გაბაფხულის ქ., N14  
**დამატებითი ინფორმაცია:**  
**სხვა მისამართი:** საქართველო, ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ., N2  
**ელ. ფოსტა:** g\_chachia@gig.ge.  
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიანობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- დირექტორი - 01008008876, გივი ჭაჭია

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
230866783, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია	100.00000000%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

### **გირავნობა**

რეგისტრირებული არ არის

---

### **ყაღალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

### **საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

### **მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

### **მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)